

## ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში

25/10/2017

1. [www.vivus.ge](http://www.vivus.ge)-ს ვებ გვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები

1.1. შეიცვალოს ხელშეკრულების პირველი მუხლის ნ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ნ) სესხის გადავადების საფასური – საფასური, რომელსაც იხდის მსესხებელი სესხის გადავადების შემთხვევაში და რომლის ოდენობაც განისაზღვრება სესხის ნარჩენი ძირი თანხის 5.7 %-ით, ხოლო იმ მსესხებლებთან მიმართებაში, რომლებიც სარგებლობენ სესხით 2017 წლის 25 ოქტომბრიდან, სესხის მეათე და ყოველი შემდგომი გადავადების შემდეგ სესხის გადავადების საფასური განისაზღვრება ნარჩენი ძირი თანხის 4%-ით.

1.2. ხელშეკრულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.5.3 და 6.5.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.5.3. იმ მსესხებლებთან მიმართებაში, რომლებიც გამსესხებელთან ისარგებლებენ სესხით 2017 წლის 25 ოქტომბრიდან, სესხის პირველი, მეორე და მესამე გადავადება ხორციელდებდა ამ მუხლის 6.5.1 პუნქტით განსაზღვრული წესების დაცვით, ხოლო მეოთხე და ყოველი შემდგომი სესხის გადავადებისას მოქმედებს შემდეგი წესი: მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს მესამედ განხორციელებული გადავადების თარიღისთვის არსებული ძირი თანხის 14% და კონკრეტული გადავადების თარიღისთვის ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობის შესაბამისი თანხა, ოღონდ არაუმეტეს კონკრეტული გადავადების თარიღისთვის სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 12%-ისა (არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული თანხა მოიცავს სესხის გადავადების საფასურსაც. თუ მსესხებლის მიერ სესხის გადავადების მიზნებისთვის ამ მუხლის შესაბამისად გადახდილი თანხა აღემატება კონკრეტული გადავადების მომენტისთვის დარიცხულ პროცენტსა (საკომისიო) და პირგასამტეხლოს ჯამურ ოდენობას, მაშინ ნამეტი თანხა მიემართება სესხის ნარჩენი ძირი თანხის დასაფარად. თანხა განაწილდება იმგვარად, რომ თავდაპირველად მიემართოს სესხის ნარჩენ ძირზე ხოლო შემდეგ გადავადდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის შემცირებული ოდენობა.

6.5.4. იმ მსესხებლებთან მიმართებაში, რომლებიც გამსესხებელთან სარგებლობენ სესხით 2017 წლის 25 ოქტომბრიდან, არ მოქმედებს სესხის გადავადების შეზღუდვა.“

1.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

1.4 ცვლილება ძალაში შედის 2017 წლის 25 ოქტომბრიდან.